სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„29“---------05---------“ 2015 წელი

ეგზ N2

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

2012-2013 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

N44/00

სარჩევი

შესაბამისობის აუდიტის მასშტაბი....3

დეპარტამენტის საქმიანობის აღწერა....4

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად ხარჯვა....4

1.1 2012-2013 წლების საბიუჯეტო განაცხადების შესაბამისობა დამტკიცებული ასიგნებებთან..4

1.2 საბიუჯეტო ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისობა საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებთან....8

1.3 2012-2013 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა....9

2. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა....10

2.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან სახსრების გამოყოფის საფუძვლები და მიღებული დაფინანსების დანიშნულებით გამოყენება....10

3. სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან....13

3.1 სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების შესაბამისობა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან....13

3.2 2012 და 2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობა....16

3.3 მიწის ნაკვეთების შესყიდვა....24

4. ძირითადი აქტივების აღრიცხვა და მოვლა-შენახვა....27

4.1 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა....27

4.2 ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვა....28

შესაბამისობის აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საავტომობილო გზების დეპარტამენტის (დეპარტამენტი) მიერ 2012 და 2013 წლების განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის აუდიტი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

დეპარტამენტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობjის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ დეპარტამენტის 2012 და 2013 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობაა აუდიტი დაგეგმოს და ჩაატაროს იმდაგვარად, რომ მიიღოს საკმარისი და შესაფერისი რწმუნება დასკვნის შესადგენად. აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვენლოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია დასკვნის გამოსატანად.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

დეპარტამენტის საქმიანობის აღწერა

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს (სამინისტრო) დაქვემდებარებაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესაბამისად ახორციელებს საავტომობილო გზების (ს/გზა) ფუნქციონირების ორგანიზებას, მართვას, ზედამხედველობასა და კონტროლს; საავტომობილო გზების სფეროში იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რომლის მონაწილეც არის საქართველო; საავტომობილო გზების მიმდინარე და პერიოდული შეკეთების, რეაბილიტაციის, რეკონსტუქცია-მოდერნიზაციისა და მშენებლობისათვის შესაბამისი სახსრების მოზიდვასა და ამ საკითხებთან მიმართებაში სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციის შესრულებას;

1. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად ხარჯვა

1.1 2012-2013 წლების საბიუჯეტო განაცხადების შესაბამისობა დამტკიცებული ასიგნებებთან

2012 წელი

დეპარტამენტმა დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად 2012 წლის ბიუჯეტიდან მოითხოვა 1,154,700,000 ლარი, მაგრამ დაუმტკიცდა მხოლოდ 398,910,000 ლარის ასიგნება, რაც საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი თანხის 35%-ს შეადგენს. აღნიშნული სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობის ქვეპროგრამაში მოთხოვნილთან შედარებით 746,595,000 ლარით ნაკლები ასიგნების გამოყოფით.

პროგრამული კოდი	დასახელება	საბიუჯეტო განაცხადით	დამტკიცებული ბიუჯეტით	სხვაობა
2502	**საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები**	**1,154,700,000**	**398,910,000**	**(755,790,000)**
250201	საავტომობილო გზების პროგრამების მართვა	6,200,000	6,070,000	(130,000)
250202	გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა	187,420,000	178,355,000	(9,065,000)
250203	ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა	961,080,000	214,485,000	(746,595,000)

დამტკიცებულ ასიგნებებში საბიუჯეტო და დონორი ორგანიზაციებდან მიღებული სახსრების თანაფარდობა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

2012 წლის გეგმა

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტები	კრედიტები
2502	**საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები**	**398,910,000**	**207,705,000**	**0**	**191,205,000**
250201	საავტომობილო გზების პროგრამების მართვა	6,070,000	6,070,000	0	0
250202	გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა	178,355,000	148,755,000	0	29,600,000
250203	ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა	214,485,000	52,880,000	0	161,605,000

საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა - 1,154,700,000 ლარი, ზღვრულ მოცულობას[1] 62,420,000 ლარით (5,7%), ხოლო წინა წლის დაზუსტებულ ბიუჯეტს 613,797,000 ლარით აღემატება (113%).

ზღვრული მოცულობის ზემოთ დაფინანსება - 62,420,000 ლარი, მოთხოვნილია გზების და ხიდების მშენებლობისა და კრედიტორული დავალიანებების დაფარვისთვის, კერძოდ:

დასახელება	ზღვრული მოცულობით	ზღვრული მოცულობის ზემოთ	სხვაობა
არაფინანსური აქტივების ზრდა			
მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის ს/გზის 132 კმ-ზე გველეთის ხიდის მშენებლობა - ქვეპროგრამა N1.2.10 - ხიდები	-	4,000,000	4,000,000
გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია - ქვეპროგრამა N1.2.1 -გზები	72,080,000	120,000,000	47,920,000
ვალდებულებების კლება			-
წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა ქვეპროგრამა N1.2.4 (საბიუჯეტო სახსრები)	10,000,000	20,500,000	10,500,000
სულ		**144,500,000**	**62,420,000**

1.1.1 დონორი ორგანიზაციების დაფინანსების წილი დეპარტამენტის 2012 წლის საბიუჯეტო განაცხადში

მთლიანი მოთხოვნიდან, 961,080,000 ლარი (83%) შეადგენდა დონორების მიერ დასაფინანსებელ პროექტებს, რომელთაგანაც ყველაზე დიდი წილი მოდის შემდეგ პროექტებზე:

დასახელება	დონორი	თანხა
„ჩოლოქი-სარფის გზის ახალი მიმართულების ქვეპროგრამა“	აზიის განვითარების ბანკი (ADB)	311,500,000
“აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის ქვეპრპგრამა“	იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო(JICA)	220,000,000
სულ		**531,500,000**

[1] ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით მხარჯავი დაწესებულებებისათვის განსაზღვრული კადრებისა და ასიგნებების ზღვრულ მოცულობები

1.1.2 პროექტები დეპარტამენტის საბიუჯეტო განაცხადის მიხედვით, რომლებიც 2012 წლის საბიუჯეტო კანონით არ დამტკიცებულა:

დასახელება	**2012 წლის საბიუჯეტო განაცხადით**	საბიუჯეტო სახსრები	დონორების დაფინანსება	დამტკიცებული ბიუჯეტით
ფოთი-ანაკლიის საავტომობილო გზის მშენებლობა ქვეპროგრამა N2.11 (დონორების დაფინანსებული პროექტები)	**83,600,000**	18,000,000	65,600,000	-
ლენტეხი-მესტიის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა ქვეპროგრამა N2.12 (დონორების დაფინანსებული პროექტები)	**20,000,000**	4,000,000	16,000,000	-
მესტია-უშგულის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა ქვეპროგრამა N2.13 (დონორების დაფინანსებული პროექტები)	**29,000,000**	8,200,000	20,800,000	-
ქ. ბათუმის ახალი შემოვლითი გზა (ADB) ქვეპროგრამა N2.8.2 (დონორების დაფინანსებული პროექტები)	**176,500,000**	51,300,000	125,200,000	-
სულ	**309,100,000,000**	**81,500,000,000**	**227,600,000,000**	-

1.1.3 შესრულებული პროექტები რომლებიც არ იყო გათვალისწინებული დეპარტამენტის 2012 წლის საბიუჯეტო განაცხადით:

- ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გვირაბის მშენებლობა (25020212) - 950,000 ლარი - (ADB);

- შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მეორე პროექტი (25020218) - 29,200,000 ლარი - (WB).

2013 წელი

დეპარტამენტმა დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად 2013 წლის ბიუჯეტიდან მოითხოვა 789,090,000 ლარი, მაგრამ დაუმტკიცდა მხოლოდ 501,740,000 ლარის ასიგნება, რაც საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი თანხის 64%-ს შეადგენს. აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია გზების მოვლა-შენახვისა და ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობის ქვეპროგრამებში, შესაბამისად 188,100,000 და 99,250,000 ლარით ნაკლები ასიგნებების გამოყოფით.

პროგრამული კოდი	**დასახელება**	**საბიუჯეტო განაცხადით**	**დამტკიცებული ბიუჯეტით (ბოლო)**	**სხვაობა**
2502	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	789,090,000	501,740,000	(287,350,000)
250201	საავტომობილო გზების პროგრამების მართვა	5,270,000	5,270,000	0
250202	გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა	394,320,000	206,220,000	(188,100,000)
250203	ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა	389,500,000	290,250,000	(99,250,000)

დამტკიცებულ ასიგნებებში საბიუჯეტო და დონორი ორგანიზაციებდან მოზიდული სახსრების თანაფარდობა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

პროგრამული კოდი	დასახელება	სულ	საბიუჯეტო სახსრები	გრანტები	კრედიტები
2502	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	**501,740,000**	**245,360,000**	**0**	**256,380,000**
250201	საავტომობილო გზების პროგრამების მართვა	5,270,000	5,270,000	0	0
250202	გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა	206,220,000	159,820,000	0	46,400,000
250203	ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა	290,250,000	80,270,000	0	209,980,000

საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი თანხა - 789,090,000 ლარი, ზღვრულ მოცულობას 53,600,000 ლარით (7%), ხოლო წინა წლის დაზუსტებულ ბიუჯეტს 288,605,000 ლარით (57%) აღემატება. ზღვრული მოცულობის ზემოთ დაფინანსება - 53,600,000 ლარი, მოთხოვნილია გზების პერიოდული შეკეთებისა და რეაბილიტაციისათვის (26020201).

1.1.4 დონორი ორგანიზაციების დაფინანსების წილი დეპარტამენტის 2013 წლის საბიუჯეტო განაცხადში

საბიუჯეტო განაცხადით მთლიანი მოთხოვნიდან, 604,500,000 ლარი (76.6%) შეადგენს დონორების მიერ დასაფინანსებელ პროექტებს, რომელთაგანაც ყველაზე დიდი წილი მოდის შემდეგ პროექტებზე:

დასახელება	დონორი	თანხა
„ჩოლოქი-სარფის გზის ახალი მიმართულების ქვეპროგრამაზე“	აზიის განვითარების ბანკი(ADB)	100,000,000
“აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქციის ქვეპრპგრამა“	იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (JICA)	100,000,000
“სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო გზის კმ 0-კმ 50 მონაკვეთის მოდერნიზაცია-მშენებლობა”	დაფინანსებულია ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ (EIB)	80,000,000
სულ		**280,000,000**

1.1.5 პროექტები დეპარტამენტის საბიუჯეტო განაცხადის მიხედვით, რომლებიც 2013 წლის საბიუჯეტო კანონით არ დამტკიცებულა:

დასახელება	2013 წლის საბიუჯეტო განაცხადით	საბიუჯეტო სახსრები	დონორების დაფინანსება	2013 წ. დამტკიცებული ბიუჯეტით
ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზაზე გვირაბის მშენებლობა (ADB)	7,000,000	1,400,000	5,600,000	-
ფოთი-ანაკლიის საავტომობილო გზის მშენებლობა	50,000,000	11,280,000	38,720,000	-
მესტია-უღვირის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა	18,000,000	4,400,000	13,600,000	-
ხულო-ბეშუმი-ადიგენის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა	50,000,000	14,000,000	36,000,000	-
ქ. ბათუმში მდ. ჭოროხზე იდის მშენებლობა	20,000,000	4,200,000	15,800,000	-
თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის კმ16-კმ20 აეროპორტი-ლოჭინის მონაკვეთის მშენებლობა	15,000,000	3,800,000	11,200,000	-
სულ	**160,000,000**	**39,080,000**	**120,920,000**	-

1.1.6 შესრულებული პროექტები რომლებიც დეპარტამენტის 2013 წლის საბიუჯეტო განაცხადით არ იყო გათვალისწინებული:

კახეთის რეგიონული გზების განვითარების პროექტი (25020211) - 7,000,000 ლარი (WB).

1.2 საბიუჯეტო ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისობა საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნებთან

2012 წელს დეპარტამენტის პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობა 30%-ს არ აღემატება, ხოლო დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის სხვაობა - 15%-ს.

2013 წელს „გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვის“ პროგრამაში (კოდი 250202), სხვაობა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის შეადგენს 30.41%-ს (დამტკიცებული ბიუჯეტი - 206,220,000 ლარი, დაზუსტებული - 268,927,400 ლარი). „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 56-ე მუხლის თანახმად, თუ მხარჯავი დაწესებულების პროგრამების მიხედვით დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%-ს, ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას აღნიშნული შეუსაბამობების შესახებ, რაც დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი არ არის.

რეკომენდაცია N1 *- დეპარტამენტმა დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის 30%-ზე მეტი შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში წლიურ ანგარიშს დაურთოს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 56-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია.*

1.3 2012-2013 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

2012 სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	**195,155,968**
შრომის ანაზღაურება	**3,690,558**
თანამდებობრივი სარგო	2,280,548
პრემია	1,410,010
საქონელი და მომსახურება	**43,810,052**
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	169,104
მივლინებები	74,982
ოფისის ხარჯები	824,913
წარმომადგენლობითი ხარჯები	34,012
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები	2,504
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	718,431
სხვ დანარჩენი საქონელი და მომსახურება	41,986,106
სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები	**49,914**
სხვადასხვა ხარჯები	**749,552**
არაფინანსურ აქტივებზე გაწეული საკასო ხარჯი	**143,950,732**
ძირითადი აქტივები	140,786,808
შენობა-ნაგებობები	*133,022,959*
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	*7,763,224*
სხვა ძირითადი აქტივები	625
არაწარმოებულ აქტივები	3,163,924
სხვა კრედიტორულ დავალიანებებზე გაწეული ხარჯი	**2,905,160**

2013 სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	**304,772,531**
შრომის ანაზღაურება	**3,929,781**
თანამდებობრივი სარგო	2,582,731
პრემია	1,347,050
საქონელი და მომსახურება	**40,709,614**
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	183,320
მივლინებები	105,713
ოფისის ხარჯები	756,309
წარმომადგენლობითი ხარჯები	23,538
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები	2,237
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	376,454
სხვ დანარჩენი საქონელი და მომსახურება	39,262,043
სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები	**31,528**
სხვადასხვა ხარჯები	**918,149**
არაფინანსურ აქტივებზე გაწეული საკასო ხარჯი	**253,938,979**
ძირითადი აქტივები	251,734,172
შენობა-ნაგებობები	*250,250,503*
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	*1,476,634*
სხვა ძირითადი აქტივები	*7,035*
არაწარმოებულ აქტივები	2,204,807
სხვა კრედიტორულ დავალიანებებზე გაწეული ხარჯი	**5,244,480**

საბიუჯეტო სახსრების მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ ხარჯვა

2012 წლის 10 აგვისტოს[2] და 7 სექტემბრის ბრძანებების[3] საფუძველზე დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მივლინებულ იქნა რუმინეთში. ამავე ბრძანებით დეპარტამენტს დაევალა მის კორპორატიულ ნომერზე როუმინგული მომსახურების ჩართვა. მივლინების დროს გაწეულმა რომუნიგის ხარჯმა შეადგინა 4,337 ლარი და ანაზღაურდა დეპარტამენტის მიერ, მაშინ როდესაც მისი ყოველთვიური ლიმიტი შეადგენდა 120 ლარს[4]. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულების „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ მოთხოვნებს.

რეკომენდაცია N2 - *დეპარტამენტმა თანამშრომელთა სამსახურებრივი მივლინების დროს დაიცვას საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების[5] - „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ - მოთხოვნები. ასევე უზრუნველყოს თანამშრომელთათვის ზედმეტად ანაზღაურებული თანხების უკან დაბრუნება.*

2. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

2.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდებიდან სახსრების გამოყოფის საფუძვლები და მიღებული დაფინანსების დანიშნულებით გამოყენება

2012 და 2013 წლებში დეპარტამენტს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან დაფინანსება არ მიუღია.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2012 წელს დეპარტამენტს გამოეყო 14,050,000 ლარი, რაც მთლიანად მიიმართა გზების მშენებლობასა და მოვლა-შენახვაზე, კერძოდ:

[2] ბრძანების ნომერი N349/მ
[3] N373/მ
[4] თავმჯდომარის 2012 წლის 1 მარტის N12 ბრძანება
[5] 2005 წლის 20 აპრილის N231

კოდი	ღონისძიების დასახელება	მთავრობის განკარგულების თარიღი და ნომერი	გამოყოფილი თანხის მოცულობა (ლარი)
25020201	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, ზემო მაჩხაანი-ზემო ბოდბეს დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, საქობო-სიღნაღი-წნორისშიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ს/გზის მონაკვეთის რეაბილიტაციის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ საკეციაში მდინარე ზნაკურაზე ხიდის მშენებლობის დაფინანსება	N972, 24.05.2012	1,900,000
25020201	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მდებარე ხანჩალის ტბაზე არსებული ნაპირდამცავი დამბის გამაგრების პირველი რიგის გადაუდებელი სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსება	N1058, 05.06.2012	300,000
25020201	ხულოს უნიციპალიტეტში, გოდერძის უღელტეხილთან მიმდინარე ახალი საკურორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით, ბათუმი-ახალციხის ს/გზის 105-109 კმ-ის მონაკვეთზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაფინანსება	N1305, 06.07.2012	2,750,000
25020201	ჩხოროწყუს, წალენჯიხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ს/გზების ცალკეული მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა	N1453, 27.07.2012	400,000
25020201	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წყალტუბო-ხონის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება	N1462, 27.07.2012	1,500,000
25020201	ჯვარი (ჯვარზენი) - ჩქვალერი-საჩინოს ს/გზის სამუშაოების დაფინანსება	N1596, 13.08.2012	2,000,000
25020205	2012 წლის მაისში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება	N930, 15.05.2012	1,250,000
25020208	მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) ს/გზის გუდაური-კობის ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია	N1453, 27.07.2012	3,000,000
25020212	საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზის მლეთა-კობის მონაკვეთზე საავტომობილო გვირაბის და მისასვლელი გზების სამშენებლო სამუშაოების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და გარემოსდაცვითი შეფასების მოსამზადებელი სამუშაოების დაფინანსება	N1369, 13.07.2012	950,000
სულ			**14,050,000**

ანალოგიურად, 2013 წელს, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დეპარტამენტს გამოეყო 55,562,650 ლარი, რაც ასევე მთლიანად მიიმართა გზების მშენებლობასა და მოვლა-შენახვაზე, კერძოდ:

კოდი	ღონისძიების დასახელება	მთავრობის განკარგულების თარიღი და ნომერი	გამოყოფილი თანხის მოცულობა (ლარი)
25020201	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალი ს/გზის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საპროექტო და საზედამხედველო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით	N255 11.04.2013	10,000,000
25020201	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ჯვარი-მესტია-ლასდილის ს/გზის მესტია-უშგულის 141-154 კმ მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსება	N343 24.05.2013	7,000,000
25020201	წყალტუბო-ხონის ს/გზის, ხობი-საჯიჯაო-ლესიჭინეს ს/გზის ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების, ბათუმი (ანგისა) - ახალციხის ს/გზის ზარზმა-ადიგენის მონაკვეთის, ჯვარი (ჯვარზენი)-ჩქვალერი-საჩინოს ს/გზის რეაბილიტაციის და აღნიშნული ობიექტების საზედამხედველო მომსახურების ხარჯების დაფინანსება	N407 02.05.2013	12,332,250
25020201	საერთაშორისო მნიშვნელობის ახალციხე-ნინოწმინდა (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი) ს/გზის კმ 68+600 - კმ 69+600 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურებების შესყიდვის დაფინანსება	N507 30.05.2013	800,000
25020201	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის ს/გზის კმ25 - კმ45 ცალკეული მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოების, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზესტაფონი-ბაღდადის ს/გზის კმ11 - კმ18.8 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსება	N602 21.06.2013	8,000,000
25020201	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის ს/გზის კმ42 - კმ30 და კმ35 - კმ45 მონაკვეთების სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და მასთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსება	N698 03.07.2013	10,000,000
25020201	ადგილობრივი მნიშვნელობის მონგირი-ახუთის, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის და ადგილობრივი მნიშვნელობის მუხური-თაიას ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება	N407 02.05.2013	5,485,400
25020201	საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი) - სარფის (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) ს/გზის კმ117-კმ119 მონაკვეთზე ფერდობის ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოების და მასთან დაკავშირებული საზედამხედველო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა	N999 30.07.2013	1,810,000
25020205	საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) ს/გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე საზვავე უბნების კვლევის, მართვის ტექნოლოგიურ-ტექნიკური საშუალებების დადგენისა და ზვავების მართვის სამოქმედო გეგმის შემუშავების მომსახურების შესყიდვის დაფინანსება	N405 02.05.2013	135,000
სულ			**55,562,650**

ზემოაღნიშნული სახსრების გამოყენების მდგომარეობა მოცემულია წინამდებარე ანგარიშის შემდგომ ნაწილში.

3. სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან

3.1 სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების შესაბამისობა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან

3.1.1 სატენდერო მოთხოვნებთან შეუსაბამო ტექნიკური დოკუმენტაცია

- გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში მდინარე მღვრიეხევზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ტენდერის (SPA 120025126 – 16.10.2012 - სავარაუდო ღირებულება - 147,710 ლარი) ერთ-ერთ საკვალიფიკაციო მოთხოვნას წარმოადგენდა 300,000 ლარის ღირებულების ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოების შესრულების გამოცდილება. გამარჯვებული კომპანიის, შპს „კლოტოიდა 2009-ის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის შულავერი-წითელი ხიდის ს/გზის მე-5 კმ-ზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების ტენდერში (SPA 130002837 - 01.02.2013 - სავარაუდო ღირებულება - 573,740 ლარი) გამარჯვებული კომპანიის, შპს „მითის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ[6].

- სოფელ გომბორში მდინარე რუსიანზე მშენებარე ნაპირსამაგრი ნაგებობის გაგრძელების სამუშაოების ტენდერში (SPA 120025562 – 29.10.2012 - სავარაუდო ღირებულება - 96,700 ლარი) გამარჯვებული პრეტენდენტის, შპს „MSHEN-GROUP მშენ-გროუფი“ მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს - ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ, ვინაიდან შპს „MSHEN-GROUP მშენ-გროუფს“ შესრულებული ჰქონდა მხოლოდ გზების რეაბილიტაციის სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ სამუშაოების მთელი მოცულობა შეასრულა მეორე პრეტენდენტმა და შემდგომში შპს „MSHEN-GROUP მშენ-გროუფ-ის“ ქვეკონტრაქტორმა შპს „არილმა“[7], თუმცა კონტრაქტორსა და დეპარტამენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი სამუშაოების 40%-ს. ასევე, მიმწოდებელი ვალდებული იყო წერილობით ეცნობებინა სრულყოფილი ინფორმაცია ქვეკონტრაქტორებთან დაკავშირებით. დეპარტამენტიდან მიღებული განმარტების თანახმად, მათთვის ქვეკონტრაქტორის შესახებ ინფორმაცია წარდგენილი არ ყოფილა, თუმცა დასრულებული სამუშაოების მიმღები კომისიის მიერ შედგენილ აქტში მითითებულია, რომ სამუშაოები განახორციელა ორგანიზაცია - შპს „MSHEN-GROUP მშენ-გროუფმა“, ქვეკონტრაქტორ შპს „არილთან“ ერთად.

ასევე, რადგან სამუშაოები მთლიანად ქვეკონტრაქტორმა შეასრულა, შპს „MSHEN-GROUP მშენ-გროუფმა“ უსაფუძვლოდ მიიღო ნაპირსამაგრ სამუშაოებში გამოცდილება (მომავალ ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად).

---

[6] შპს „მითს“ არ აქვს შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოები (სახიდე გადასასვლელის მშენებლობა, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია, რეაბილიტაცია) 1,200,000 ლარის საერთო ღირებულებით. მის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ ცხრილის მე-5 (ნაპირსამაგრი სამუშაოები) პოზიციაში დასახელებული სამუშაოები არ მიეკუთვნება სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

[7] 2012 წლის 14 ნოემბრის N1/14 ხელშეკრულება

- დეპარტამენტმა 2013 წლის 9 ივლისს გამოაცხადა ორი ტენდერი, SPA130014904 და SPA130014906. სატენდერო მოთხოვნის თანახმად, პრეტენდენტის მიმდინარე საკონტრაქტო ვალდებულებებისა და წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ფასის ჯამი არ უნდა ყოფილიყო ბოლო სამი წლის საშუალო წლიურ ბრუნვაზე მეტი.

ორივე ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „სერპანტინმა“ და ერთიდაიმავე დღეს ორივე ტენდერში გამოცხადდა გამარჯვებულად. თითოეული ტენდერის დამოუკიდებლად განხილვის შემთხვევაში, როგორც ეს მოხდა აღნიშნულ ტენდერებთან მიმართებაში, შპს სერპანტინი აკმაყოფილებდა სატენდერო მოთხოვნებს. თუმცა დეპარტმანეტის მიერ გათვალისწინებული სატენდერო მოთხოვნების მიზანი, რაც გულისხმობდა იმას, რომ პრეტენდენტს არ უნდა ჰქონოდა დიდი ოდენობის მიმდინარე ვალდებულებები, რათა ხელი არ შეშლოდა აღნიშნული სამუშაოების დროულ და ხარისხიანად შესრულებაში, ვერ იქნა მიღწეული:

ტენდერის N	**სარეაბილიტაციო სამუშაოების დასახელება**	**სავარაუდო ღირებულება**
SPA 130014904	წნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის ს/გზის 24-30 კმ.	6,181,180
SPA 130014906	წნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის ს/გზის 35-45 კმ.	4,906,910
სულ		**11,088,090**

	ლარი
მიმდინარე კონტრაქტების ჯამი (სერპანტინის წარმოდგენილი)	4,400,957
ახალი ტენდერი - SPA 130014906	4,906,910
ახალი ტენდერი - SPA 130014904	6,181,180
სულ ტენდერებამდე და ტენდერების შემდგომი კონტრაქტების ღირებულებების ჯამი	**15,489,047**
ბოლო სამი წლის საშუალო ბრუნვა (სერპანტინის წარმოდგენილი)	13,150,600
სხვაობა	**2,338,447**

აღსანიშნავია, რომ მსგავსი სატენდერო მოთხოვნის გადამოწმება არის მნიშვნელოვან სირთულეებთან დაკავშირებული რასაც სატენდერო კომისია დიდი ალბათობით ვერ შეძლებს. როდესაც პრეტენდენტი სატენდერო კომისიას წარუდგენს მიმდინარე ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას, შესაძლებელია ტენდერში გამარჯვებამდე იგივე ორგანიზაციამ გააფორმოს სხვა ხელშეკრულებები სხვადასხვა შემსყიდველებთან რაც შესაძლოა იწვევდეს სატენდერო მოთხოვნის დარღვევას. მსგავსი ფაქტის შემთხვევაში სატენდერო კომისია ვერ შეძლებს სატენდერო მოთხოვნასთან შესაბამისობის გაკონტროლებას, რადგან „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტები ფასდებიან, მათ მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით.

რეკომენდაცია N3 *- დეპარტამენტმა სატენდერო მოთხოვნები შეადგინოს ისე, რომ შეუძლებელი არ იყოს თითოეული სატენდერო მოთხოვნის გადამოწმება. სატენდერო კომისიის მიერ გადამოწმებულ პარამეტრებს და დაოქმებულ შედეგს არ უნდა სჭირდებოდეს ხელშეკრულების გაფორმებამდე ხელახალი გადახედვა.*

3.1.2 უსაფუძვლო დისკვალიფიკაცია

N6 ზონაში შემავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ს/გზების მიმდინარე შეკეთების (ტენდერი SPA 120025563 - 29.10.2012 - სავარაუდო ღირებულება - 857,347 ლარი) ტენდერიდან დისკვალიფიკაციას დაექვემდებარა შპს „MSHEN-GROUP მშენ-გროუფი“, სათანადო საკვალიფიკაციო მოთხოვნების[8] არ ქონის მიზეზით, თუმცა, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით იგი აკმაყოფილებდა ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნას[9], ხოლო მათი დარჩენილი ნაწილის დაზუსტება დეპარტამენტის მიერ შესაძლებელი იყო, როგორც ეს განხორციელდა მომდევნო გამარჯვებული პრეტენდენტის, შპს „ავტობანის“ შემთხვევაში[10].

3.1.3 მნიშვნელოვნად განსხვავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები

აუდიტის პერიოდში ჩატარებულ ტენდერებში უმეტეს შემთხვევაში, შესყიდვაში მონაწილე პირებს უკანასკნელი 3 და მიმდინარე წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონოდათ სავარაუდო ღირებულების დაახლოებით ორმაგი ოდენობის (200%) სამუშაო გამოცდილება. თუმცა რამდენიმე ტენდერში აღნიშნულისაგან მკვეთრად განსხვავებული მოთხოვნაა, კერძოდ:

N	ტენდერის SPA N და თარიღი	ღონისძიების დასახელება	სავარაუდო ღირებულება	საჭირო გამოცდილება	%
1	SPA 120005450; 14.02.2012	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნოსირი-გეჯეთი-ნოქალაქევის ს/გზის კმ4 და კმ5 მიწის ვაკისის აღდგენითი სამუშაოები	707,830	700,000	99%
2	SPA 120003667; 01.12.2012	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გომი-საჩხერე-ზესტაფონის ს/გზის კმ46-კმ53 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	4,886,320	6,000,000	123%
3	SPA 120003523; 31.01.2012	რუფოთი-ალისუბანი-საზანო-თუზი-ქვაციხე-კიცხის ს/გზის კმ1+000-კმ18+660 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	4,580,450	6,000,000	131%
4	SPA 120017737; 25.06.2012	წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხის ს/გზის რეაბილიტაცია	11,686,920	16,000,000	137%
5	SPA 120016860; 15.06.2012	ქუთაისი-ალპანა-მამისონის ს/გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	4,622,140	6,000,000	130%
6	SPA 130005263; 01.03.2013	- საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კმ96 - კმ 107 მონაკვეთზე არსებული გვირაბების (გალერეების) სარეაბილიტაციო სამუშაოები -	4,951,360	5,000,000	101%
7	SPA 130017711; 13.08.2013	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზარზმის მონასტერთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	353,290	2,800,000	793%

[8] უკანასკნელი სამი და მიმდინარე წლის განმავლობაში 1,600,000 ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაოების გამოცდილება (მათ შორის ერთ-ერთ ობიექტზე 800,000 ლარის); ინფორმაცია ზამთრის საყრდენი პუნქტების შესახებ; მანძილი ა/ზეტონის ქარხანასა და ობიექტს შორის; საიჯარო ხელშეკრულება სპეციალურ ტექნიკაზე..

[9] შერულებული ჰქონდა ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოები ჯამში 1,793,713 ლარის, ხოლო ერთ-ერთ ობიექტზე 941,934 ლარის ოდენობით.

[10] (წერილი N08-01-04/4712, 21.11.2012 - 9 ერთეულ მანქანა-მექანიზმზე საიჯარო ხელშეკრულებებისა და საყრდენი პუნქტების მოწყობის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა)

8	SPA 130019577; 06.09.2013	საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ17-კმ27 ზაჰესი-ნატახტარის მონაკვეთზე საცვეთი ფენის მოწყობის სამუშაოები	8,862,995	40,000,000	451%
9	SPA 1200019815; 17.07.2012	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ალპანა-ცაგერის ს/გზის კმ1-კმ12 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები	7,469,030	10,000,000	134%

რეკომენდაცია N4: *დეპარტამენტმა შეიმუშაოს მეთოდოლოგია, თუ რა ანალოგიური სამუშაოების გამოცდილება უნდა მოითხოვოს სატენდერო დოკუმენტაციით. მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს: შესასრულებელი სამუშაოების სირთულეს, მნიშვნელობას, შესრულების ვადებს, ობიექტის ადგილმდებარეობას, სავარაუდო ღირებულებასა და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს.*

3.2 2012 და 2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების მდგომარეობა

გამარტივებული შესყიდვები

3.2.1 უსაფუძვლოდ შეზღუდული ვადები

დეპარტამენტმა შპს „უდტ-ტექნიკისაგან“ 2012 წლის 14 სექტემბერს[11] გამარტივებული წესით[12] შეისყიდა საავტომობილო გზების მოვლა-შენახვისათვის საჭირო 6,099,023 ლარის ღირებულების 19 ერთეული საგზაო ტექნიკა[13]. აღსანიშნავია, რომ დეპარტამენტს საგზაო ტექნიკის შესაძენად საჭირო თანხა გამოეყო 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში 2012 წლის მაისში განხორციელებული ცვლილების შედეგად. 2012 წლის მაისიდან 2012 წლის სექტემბრამდე პერიოდში შესაძლებელი იყო შესყიდვა განხორციელებულიყო ტენდერის გზით, რასაც შესაძლოა დაეზოგა საბიუჯეტო სახსრები. წარმოდგენილი განმარტებით, აღნიშნული პერიოდი დასჭირდა ბაზრის კვლევას, რაც აუდიტის ჯგუფმა არ გაიზიარა, ვინაიდან ბაზრის კვლევა უნდა განხორციელებულიყო ბიუჯეტიდან შესაბამისი სახსრების გამოყოფამდე.

3.2.2 სამუშაოების დაწყება მნიშვნელოვანი დაგვიანებით

- „კალა-ხალდეს საავტომობილო გზაზე მოძრაობის გაუმჯობესების გადაუდებელი სამუშაოების“ (ს.ტ. N3-12, 8.05.2012 შესრულება - 79,944 ლარი) შესრულების ვადები შპს „ენგური 2006-ის“ ხელშეკრულებით განესაზღვრა 2012 წლის 8 მაისიდან 31 ივლისამდე. შპს-მ საავანსო თანხა 24,000 ლარი მიიღო ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ კვირაში, თუმცა სამუშაოები დაიწყო დაახლოებით 5 თვის დაგვიანებით.

საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსის მოხსენებითი ბარათის[14] თანახმად 2012 წლის 20 სექტემბრისთვის, სამუშაოები მიმდინარეობდა დაჩქარებული ტემპებით და

[11] მშ N1-12; 14.09.2012

[12] საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 სექტემბრის N1713 განკარგულების საფუძველზე

[13] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, ასევე ითვალისწინებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვის გამარტივებული წესით განხორციელების შესაძლებლობას.

[14] N4900

უკვე შესრულებული იყო 50-60%. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტების[15] მიხედვით, სამუშაოები ფაქტობრივად დაიწყო 2012 წლის 1 ოქტომბერს და დაასრულა 30 ოქტომბერს.

დეპარტამენტიდან მიღებული განმარტებით, სამუშაოების დაგვიანებით დაწყება განაპირობა ცუდმა კლიმატურმა პირობებმა, რაზეც წარმოდგენილია შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ამინდის ცნობები. თუმცა, 8 მაისიდან 1 ოქტომბრამდე (146 დღე) ნალექიანი იყო მხოლოდ 51 დღე.

- „მესტიის შემოვლითი ს/გზის სამშენებლო სამუშაოების“ (მშ. N2-11, 14.07.2011 სამუშაოთა ღირებულება - 4,645,000 ლარი) შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული წესით მთავრობის 2011 წლის 12 ივლისის განკარგულების[16] საფუძველზე, სახელმწიფო მნიშვნელობის ღონისძიებების შეუფერხებლად და დროულად განხორციელებისთვის. ხელშეკრულება გაფორმდა 2011 წლის 14 ივლისს და კონტრაქტორმა, შპს „ზიმომ“, ავანსის სახით 28 ივლისს მიიღო 1,858,000 ლარი, ხოლო სამუშაოები დაიწყო 45 დღის დაგვიანებით 2011 წლის 1 სექტემბერს. სამუშაოების გვიან დაწყების გამო კონტრაქტორმა ვერ დაასრულა სამუშაოები ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე შესრულების ვადა გაიზარდა ზუსტად 45 დღით.

- „გუდაურის ტერიტორიაზე საგზაო, წყალმომარაგებითი, საკანალიზაციო და გარე განათებით სამუშაოებზე“ (ადგ.რ. N9-11, 28.07.2011 - სამუშაოთა ღირებულება 3,510,000 ლარი) შპს „კომპანია ბლექ სი გრუპთან“ ხელშეკრულება გაფორმდა 2011 წლის 28 ივლისს. ხელშეკრულების მიხედვით შპს-ს სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2011 წლის 31 დეკემბრამდე. კონტრაქტორს ავანსის სახით 1,404,000 ლარი გადაერიცხა 10 აგვისტოს, თუმცა სამუშაოები ფაქტობრივად დაიწყო ერთი თვის დაგვიანებით 1 სექტემბერს, ხოლო საბოლოოდ შპს „კომპანია ბლექს სი გრუპმა“ ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე სამუშაოები დაასრულა თავდაპირველად განსაზღვრულ ვადასთან შედარებით დაახლოებით 9 თვის დაგვიანებით.

– „საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) ს/გზის გუდაური-კობის კმ. 96 - კმ. 107 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე“ (ს.რ. N2-12, 5.09.2012 საორიენტაციო ღირებულება - 15,500,000 ლარი) ხელშეკრულება გამარტივებული წესით გაფორმდა სამუშაოების შეზღუდულ ვადებში ჩატარების მიზნით. ავანსი 3,000,000 ლარი გადაირიცხა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთ კვირაში, 12.09.2012 წელს. ფაქტობრივად სამუშაოები დაიწყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 9 თვის შემდეგ.

***რეკომენდაცია N5**: დეპარტამენტმა ხელშეკრულებებში ცალსახად განსაზღვროს „სამუშაოს დაწყების თარიღი“. დეპარტამენტი აღნიშნულ თარიღს უნდა იყენებდეს ჯარიმის გამოთვლისთვის იმ შემთხვევებში, როდესაც კონტრაქტორს თავდაპირველი ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების დასრულების ვადა გაუგრძელდება და ამავდროულად სამუშაოები არაობიექტური მიზეზების გამო დაწყებული ექნება „სამუშაოს დაწყების თარიღის“ შემდგომ (დაგვიანებით).*

აღნიშნული რეკომენდაციის დანერგვა ხელს შეუწყობს კონტრაქტორების მხრიდან სამუშაოების დროულად დასრულებას და შეამცირებს საბიუჯეტო თანხებით კერძო კომპანიებისთვის ავანსის სახით გადახდილი საბრუნავი სახსრების უსაფუძვლოდ შექმნის შემთხვევებს.

[15] კომისიური მიღება ჩაბარების აქტი და სამუშაოთა წარმოების ჟურნალი
[16] N1429

3.2.3 ერთგვაროვანი სამუშაოებისა და მასალების მნიშვნელოვნად განსხვავებული ღირებულებები

- „ბათუმი-ახალციხის ს/გზის კმ. 106 და კმ. 109 მონაკვეთზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების“[17] მიღების აქტში სამუშაოთა ერთეულის ღირებულებები ხარჯთაღრიცხვასთან შედარებით შეცვლილია მნიშვნელოვნად. ამასთან ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იგივე სამუშაოს ღირებულება განსხვავებულია სხვადასხვა კილომეტრებზე (კმ. 106 და კმ. 109). კერძოდ:

დასახელება	**ერთეულის ღირებულება სამუშაოთა მიღების აქტით (ფ-2)**		**ერთეულის ღირებულება ხელშეკრულებაზე დართული ხარჯთაღრიცხვით**		**ერთეულის ღირებულებების პროცენტული ზრდა**	
	106-ე კმ	**109-ე კმ**	**106-ე კმ**	**109-ე კმ**	**106-ე კმ**	**109-ე კმ**
„სადრენაჟე არხების მოწყობა მონოლითური რ/ბეტონით C-25 (B-30)“	516.25	737.49	371.8	371.8	39%	98%
„გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნის დაყენება ლითონის ბოძზე L=3.2 მ, D=76 მმ, ჩაბეტონებით (0.2m3x2=0.4m3)“	206.83	185.23	140	140	48%	32%
„გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნის დაყენება ლითონის ბოძზე L=3.2 მ, D=76 მმ, ჩაბეტონებით (0.2m3x1=0.2m3)“	296.06	206.83	140	140	111%	48%
„მიმმართველი საგზაო ნიშნის დაყენება ლითონის ორ ბოძზე საერთო სიგრძით L=3.2 მეტრი, D=76 მმ, ჩაბეტონებით; ბეტონის საერთო მოცულობა სულ 0.2x7x2=2.8m3; ლითონის ბოძების საერთო წონა 242 კგ“	507.24	449.9	484	484	5%	-7%

წარმოდგენილი განმარტებით სამუშაოთა მიღების აქტში ერთეულის ფასები გაზრდილია სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე;

- „საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის ს/გზის კმ.132-კმ.135+100 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების“[18] ხარჯთაღრიცხვასა და სამუშაოთა შესრულების აქტში მასალაზე - „ბრტყელი ტიპიური ზომის შუქამრეკლი საგზაო ნიშნები“ - მნიშვნელოვნად განსხვავებულია 1მ^2-ის ღირებულება.

შუქამრეკლი საგზაო ნიშნები	**1მ^2-ის ღირებულება**
700x700x700 მმ (სამკუთხა)	252 ლარი
200x300 მმ (მართკუთხა)	355 ლარი
300x600 მმ (მართკუთხა)	1,247 ლარი

3.2.4 ხელშეკრულების გაფორმება მნიშვნელოვანი დაგვიანებით

- „მესტიის მუნიციპალიტეტში ცალკეულ საავტომობილო გზებზე გარე განათების მოწყობის სამუშაოების“ (ადგ.რ. N18-11, 6.12.2011 სამუშაოთა ღირებულება - 490,000 ლარი) შესყიდვა დროულად დაწყებისა და შეზუდულ ვადებში შეუფერხებლად შესრულების მიზნით, გამარტივებული წესით

[17] ხელშეკრულება შ.რ. N1-12, 6.08.2012 წ.
[18] ს.რ. N4-11, 6.09.2011

განხორციელდა მთავრობის 2011 წლის 26 ივლისის[19] განკარგულებების საფუძველზე[20]. თუმცა ხელშეკრულება გაფორმდა მნიშვნელოვანი დაგვიანებით, ასევე ხელშეკრულების გაფორმებიდან კონტრაქტორმა სამუშაოებიც დაგვიანებით დაიწყო, ისე როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები:

		მთავრობის განკარგულება	**ხელშეკრულების გაფორმება**	**ავანსის გადარიცხვა**	**სამუშაოების დაწყება**	**სამუშაოების დასრულება**
		26-ივლ-11	6-დეკ-11	29-დეკ-11	25-აპრ-12	11-მაი-12
მთავრობის განკარგულება	26-ივლ-11	0	**133 დღე**	156	274	290
ხელშეკრულების გაფორმება	6-დეკ-11		0	13	**141 დღე**	157
ავანსის გადარიცხვა	29-დეკ-11			0	**118 დღე**	134
სამუშაოების დაწყება[21]	25-აპრ-12				0	**16 დღე**
სამუშაოების დასრულება	11-მაი-12					0

- მთავრობის განკარგულების გამოცემიდან ხელშეკრულება გაფორმდა 133 დღის შემდეგ;
- ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოები დაიწყო 141 დღის შემდეგ;
- ავანსის გადარიცხვიდან (340,065 ლარი) სამუშაოები დაიწყო 128 დღის შემდეგ;
- სამუშაოების შესრულებას სულ დაჭირდა 16 დღე.

ამასთან, შემსრულებელს ავანსი 20%-ის ნაცვლად მიღებული აქვს 70%-ის ოდენობით, ხელშეკრულებაში სათანადო ცვლილების გარეშე.

- „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე, საბაგიროს ტექმომსახურების პუნქტის სამშენებლო და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებზე“ (ადგ.რ.N17-11, 25.11.2011 სამუშაოთა ღირებულება - 2,500,000 ლარი) მთავრობის განკარგულება[22] გამოიცა 2011 წლის 16 აგვისტოს, რომლის საფუძველზეც შესყიდვა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, განხორციელდა გამარტივებული წესით. შესაბამისი ხელშეკრულება კი გაფორმდა 2011 წლის 25 ნოემბერს, 3 თვის დაგვიანებით. ამასთან, სამუშაოების დასრულების ვადა, ორმხრივი შეთანხმებებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2011 წლის 31 დეკემბრის ნაცვლად გაგრძელდა 2012 წლის 30 მაისამდე.
- „გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით შესასრულებელი დამატებითი სამუშაოებზე“ (ადგ.რ N3-12, 18.06.2012 სამუშაოთა

[19] N1544
[20] 2011 წლის 4 ნოემბრის N2139 მთავრობის განკარგულებით 26 ივლისის განკარგულებაში შევიდა ცვლილება თანხის გაზრდასთან დაკავშირებით
[21] სამუშაოთა წარმოების ჟურნალის თანახმად
[22] N1670

ღირებულება - 1,040,000 ლარი) მთავრობის განკარგულება[23] გამოიცა 2012 წლის 31 იანვარს, რომლის საფუძველზეც შესყიდვა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, განხორციელდა გამარტივებული წესით. შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდა მნიშვნელოვანი დაგვიანებით, ასევე ხელშეკრულების გაფორმებიდან კონტრაქტორმა სამუშაოებიც დაგვიანებით დაიწყო, ისე როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები:

		მთავრობის განკარგულება	**ხელშეკრულების გაფორმება**	**ავანსის გადარიცხვა**	**სამუშაოების დაწყება**	**სამუშაოების დასრულება**
		31-იან-12	18-ივნ-12	6-ივლ-12	1-აგვ-12	25-სექ-12
მთავრობის განკარგულება	31-იან-12	0	**139 დღე**	157	183	238
ხელშეკრულების გაფორმება	18-ივნ-12		0	18	**44 დღე**	99
ავანსის გადარიცხვა	6-ივლ-12			0	**26 დღე**	81
სამუშაოების დაწყება	1-აგვ-12				0	**55 დღე**
სამუშაოების დასრულება	25-სექ-12					0

- მთავრობის განკარგულების გამოცემიდან ხელშეკრულება გაფორმდა 139 დღის შემდეგ;
- ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოები დაიწყო 44 დღის შემდეგ;
- ავანსის გადარიცხვიდან (416,000 ლარი) სამუშაოები დაიწყო 26 დღის შემდეგ;
- სამუშაოების შესრულებას სულ დაჭირდა 55 დღე.

ამასთან, სამუშაოთა კომისიური მიღების აქტს ხელს არ აწერს მესამე მხარე, „გუდაურის განვითარების ფონდის“ წარმომადგენელი.

ზემოთ დასახელებულ სამივე შემთხვევაში არ დასტურდება სამუშაოთა შეზღუდულ ვადებში ჩატარების მიზნით გამარტივებული შესყიდვის აუცილებლობა.

რეკომენდაცია N6: *დეპარტამენტმა, მთავრობის განკარგულებებზე მოახდინოს დროული რეაგირება ასევე იხ.* ***რეკომენდაცია N5***

3.2.5 სამუშაოების შესყიდვა შეზღუდულ ვადებში განხორციელების მიზნით, გამარტივებული წესით და ფაქტობრივად მათი განხორციელება ხელშეკრულებით განსაზღვრულზე მნიშვნელოვნად მეტ პერიოდში

- „ანაკლიაში ინდივიდუალური პროექტირების ხის კონსტრუქციის საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოების“ (ადგ.რ. N2-11 7.03.2011 სამუშაოთა ღირებულება - 11,487,300 ლარი) შესრულების ვადები ხელშეკრულებით განისაზღვრა 2011 წლის 7 მარტიდან 31 ოქტომბრამდე, რაც ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე გაგრძელდა დაახლოებით 8 თვით, 2012 წლის 20 ივნისამდე.

[23] N158

- „ანაკლიის საფეხმავლო ხიდის განათების მოწყობის სამუშაოების“ (ადგ.რ. N19-11, 26.12.2011 სამუშაოთა ღირებულება - 550,000 ლარი) შესრულების ვადები ხელშეკრულებით განისაზღვრა 2011 წლის 26 დეკემბრიდან 2012 წლის 1 თებერვლამდე, რაც ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე გაგრძელდა დაახლოებით 5 თვით, 2012 წლის 20 ივნისამდე.

- „თეთნულდის სათხილამურო კომპლექსთან მისასვლელი ს/გზის სამშენებლო სამუშაოების“ (მ.შ N1-11, 9.06.2011 სამუშაოთა ღირებულება - 4,440,000 ლარი) შესრულების ვადები ხელშეკრულებით განისაზღვრა 2011 წლის 9 ივნისისდან 30 ნოემბრამდე, რაც ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე გაგრძელდა დაახლოებით 11 თვით, 2012 წლის 31 ოქტომბრამდე.

წარმოდგენილი ინფორმაციით, ზემოაღნიშნულ სამივე სამუშაოზე დოკუმენტაცია ამოღებული აქვს სამართალდამცავ უწყებებს.

- „გუდაურში საბაგირო გზების სამონტაჟო სამუშაოების, საძირკვლის მოწყობის, საბაგიროს ბოძების მონტაჟის, ბეტონისა და ბეტონის ჩამოსხმასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე“ ხელშეკრულება[24] გაფორმებულია 2011 წლის 15 სექტემბერს. აღსანიშნავია, რომ სამუშაოები შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შესყიდულია გამარტივებული წესით, მთავრობის განკარგულების საფუძველზე, თუმცა ფაქტობრივად გაგრძელდა ერთ წელზე მეტ ხანს.

რეკომენდაცია N7: *დეპარტამენტმა გამარტივებული წესით შესყიდული შეზღუდულ ვადებში შესასრულებელი სამუშაოები დაგეგმოს იმგვარად, რომ მათი შესრულებაც განხორციელდეს რეალურად შეზღუდულ ვადებში.*

3.2.6 დასრულებული, მაგრამ კომისიურად დაუდასტურებელი სამუშაოები

სახელმწიფო აუდიტის სამსახური მოკლებული იყო შესაძლებლობას მოეპოვებინა საკმარისი მტკიცებულებები აუდიტის პერიოდისთვის კომისიურად დაუდასტურებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოები შესრულებული იყო აუდიტის პერიოდში. ასეთ სამუშაოებს წარმოადგენს:

1. „მესტიის აეროპორტის დამატებითი სამუშაოები“ (ადგ.რ. N16-11, 16.11.2011- საორიენტაციო სახელშეკრულებო ღირებულება - 1,150,000 ლარი.)
2. „ქ. ქუთაისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, გზის პირას განლაგებული შენობა-ნაგებობების მოპირკეთების სამუშაოები“ (ადგ.რ. N8-11, 16.11.2011 სახელშეკრულებო ღირებულება - 244,688 ლარი)
3. „საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) ს/გზის გუდაური-კობის კმ. 96 - კმ. 107 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები“ (ს.რ. N2-12, 5.09.2012 საორიენტაციო ღირებულება - 15,500,000 ლარი)

[24] ადგ.რ. N12-11

ტენდერების საფუძველზე განხორციელებული შესყიდვები

3.2.7 სამუშაოების დაწყება ხელშეკრულების გაფორმებამდე

- „საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის ს/გზის კმ.203-კმ.215 ცალკეულ მონაკვეთებზე ა/ბეტონის საცვეთი ფენის აღდგენითი სამუშაოებზე“ (ე.ტ N50-12, 23.04.2012) ხელშეკრულება გაფორმებულია 2012 წლის 23 აპრილს, ხოლო ყოველდღიური წარმოების ჟურნალის მიხედვით სამუშაოები დაწყებულია 2012 წლის 11 აპრილს, ტენდერის პროცედურების დასრულებამდე.

3.2.8 საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით განხორციელებული შესყიდვები

2012-2013 წლებში დეპარტამენტის მიერ შესრულებული სამუშაოების დაფინანსება საბიუჯეტო სახსრებთან ერთად ხორციელდებოდა მსოფლიო ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, ევროპის საინვესტიციო ბანკისა და იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს მიერ კონკრეტული პროექტების შესასრულებლად გაცემული სესხებით. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროექტებიდან შერჩევა ხორციელდება დონორი ორგანიზაციების მიერ სპეციალური პროგრამის მეშვეობით. შემდგომ ეტაპზე ხდება შერჩეული პროექტების ტექნიკური-ეკონომიკური დასაბუთება გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინებით. პროექტების დაფინანსება ძირითადად ხორციელდება უცხოური დონორი ორგანიზაციების (80%) და საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი თანადაფინანსებით (20% - ადგილობრივი გადასახადების დაფარვა). შესაბამისი სასესხო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დეპარტამენტის მიერ კონკრეტული ლოტის საპროექტო, სამშენებლო და საზედამხედველო სამუშაოებზე ცხადდება ტენდერი. გამარჯვებულ პრეტედენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საკითხები, ასევე დონორების მიერ დაწესებული მოთხოვნები. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში სრულად არის ჩართული დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლობა.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებზე (გარდა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტებისა) ანგარიშსწორება ხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის“ მიერ. თითოეული პროექტი რეგისტრირდება ხაზინაში. დონორის მიერ სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისად, ეტაპობრივად ივსება ხაზინაში არსებული ანგარიში.

2012-2013 წლებში საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ მიღებული დაფინანსებით სულ განხორციელდა 77 შესყიდვა შემდეგი თანხებით: 711,189,207 ლარი, 1,357,117 დოლარი, 52,869,132 ევრო და 278,611 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი. საიდანაც განხორციელებული შესყიდვების ძირითად ნაწილს შეადგენს სამშენებლო სამუშაოები. სამშენებლო სამუშაოების ძირითადი ნაწილი 31.12.2013 წლის მდგომარეობით იყო დაუსრულებელი. შესაბამისად, ასეთ სამუშაოებზე შეუძლებელია სრული ანალიზი.

საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული სახსრებით 2012-2013 წლებში განხორციელებული შესყიდვები წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

სამუშაოს დასახელება	რაოდენობა	ლარი	დოლარი	ევრო
სამშენებლო სამუშაო	1	153,498,019	-	-
საპროექტო	1	-	-	4,330,659
საზედამხედველო	1	5,070,300	-	3,295,764
სხვა სამუშაოები	4	-	96,563	232,000
ჯამი	**7**	**158,568,319**	**96,563**	**7,858,423**

მსოფლიო ბანკი

სამუშაოს დასახელება	რაოდენობა	ლარი	დოლარი	ევრო	სტერლინგი
სამშენებლო სამუშაოები 2012	2	73,365,797	-	-	-
სამშენებლო სამუშაოები 2013	1	1,614,979	-	-	-
რეაბილიტაცია 2012	16	86,607,469	-	-	-
რეაბილიტაცია 2013	7	29,409,795	-	-	-
საპროექტო 2012	2	1,590,675	-	-	-
საპროექტო 2013	3	158,253	50,000	-	-
საზედამხედველო 2012	2	2,882,350	-	2,032,615	-
საზედამხედველო 2013	3	1,813,164	803,120	-	278,611
სხვა სამუშაოები 2012	8	1,096,628	117,402	-	-
სხვა სამუშაოები 2013	17	3,353,652	272,967	-	-
ჯამი	**61**	**201,892,762**	**1,243,489**	**2,032,615**	**278,611**

აზიის განვითარების ბანკი

სამუშაოს დასახელება	რაოდენობა	ლარი	დოლარი	ევრო
მშენებლობა	1	209,852,079	-	-
სხვა სამუშაოები	6	188,372	17,065	3846
ჯამი	**7**	**210,040,451**	**17,065**	**3846**

იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო

სამუშაოს დასახელება	რაოდენობა	ლარი	დოლარი	ევრო
სამშენებლო სამუშაოები	2	140,687,675	–	42,974,248
ჯამი	**2**	**140,687,675**	**–**	**42,974,248**

დეპარტამენტის 2012 და 2013 წლების ფინანსურ ანგარიშგებებში „აქტივების უსასყიდლოდ მიღება“ ასახულია შესაბამისად 140,715,769 და 151,961,408 ლარის ოდენობით. აქედან ძირითადი ნაწილი ეკუთვნის იმ სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებას, რომლებსაც დონორებიდან მოზიდული სახსრებით ასრულებს დეპარტამენტი და რომელთა მომსახურებასაც ახორციელებს სსიპ „ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანი“. 2012 წელს ასახული 140,715,769 ლარიდან 3,272,463 ლარი წარმოადგენს შესყიდული მიწის ღირებულებას, 137,235,652 ლარი დაუმთავრებელ მშენებლობას, ხოლო 207,654 ლარი - სხვა აქტივების ღირებულებას. ანალოგიურად, 2013 წელს ასახული 151,961,408 ლარიდან 7,717,195 ლარი წარმოადგენს შესყიდული მიწის ღირებულებას, 144,242,820 ლარი დაუმთავრებელ მშენებლობას, ხოლო 1,393 ლარი - სხვა აქტივების ღირებულებას.

3.3 მიწის ნაკვეთების შესყიდვა

დეპარტამენტის მიერ განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სრულდება პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების გამოსყიდვისა და კომპენსაციის გადახდის პროცედურები, რასაც არეგულირებს თითოეული სასესხო ხელშეკრულებისათვის მომზადებული განსახლების გეგმა. 2012-2013 წლებში მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა ხორციელდებოდა შემდეგი განსახლების გეგმების შესაბამისად:

1. აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის (E-60) რეაბილიტაციისა და გაუმჯობესების პროექტი: ა) ზესტაფონი-ქუთაისის მონაკვეთი; ბ) ქუთაისის შემოვლითი; გ) ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთი; შემსრულებელი - იაპონური ფირმა PADECO.
2. აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის (E-60) რუისი-რიკოთის მონაკვეთის (კმ.95- კმ.143) მოდერნიზაციის პროექტი. შემსრულებელი - ესპანური ფირმა Eptisa Servicios de Ingenieria, S.L.
3. ქობულეთის შემოვლითი გზის, ქობულეთი-ბათუმის მონაკვეთის და ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი. შემსრულებელი - კორეული ფირმა SAMBO.

მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის საფასური და მასზე განთავსებული უძრავი ქონების ნასყიდობის თანხა 2012 წელს შეადგენდა 6,458,892 ლარს, ხოლო 2013 წელს 9,686,611 ლარს. აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

- 2012 წლის 3 ოქტომბრის ხელშეკრულების[25] საფუძველზე ფიზიკური პირისაგან[26] 267,733 ლარად შესყიდულია 19,313 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. აქედან 18,9479 ლარი (70,8%) გადახდილია ხეხილის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით. მიწის ნაკვეთის აღწერის უწყისის თანახმად, 3,247 $მ^2$-ზე დათესილი იყო მცენარე სატაცური, რომლის კომპენსაცია შეადგენდა 18,183 ლარს. დანარჩენ 16,066 $მ^2$-ზე არსებული ხეხილის რაოდენობა შეადგენდა 16,797 ერთეულს (1 $მ^2$-ზე საშუალოდ 1 ნერგი), საიდანაც კომპენსაცია გადახდილია 16,197 ერთეულში. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ინვენტარიზაციის დოკუმენტებს არ ახლავს სათანადო ფოტო მასალა; ინვენტარიზაცია არ არის ჩატარებული კომისიურად, ვინაიდან შესაბამის უწყისს მიწის მესაკუთრის გარდა ხელს აწერს მხოლოდ ერთი პირი; ამასთან, არ არის წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაცია, რითაც გასაგები გახდებოდა თუ რატომ ანაზღაურდა 16,797 ერთეული ნარგავიდან მხოლოდ 16,197 ერთეულის ღირებულება; წარმოდგენილი მასალების თანახმად, 1$მ^2$-ზე მდებარეობდა 1 ერთეული ნარგავი (ძირითადად 2 წლიანი და მეტი), რაც მეტ დოკუმენტურ დადასტურებას საჭიროებს.

- 2013 წლის 6 აგვისტოს ხელშეკრულების[27] საფუძველზე 67,293 ლარად შესყიდულია[28] 2,401 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. აქედან 17,672 ლარი გადახდილია ღობის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით. აღსანიშნავია, რომ კომპენსაციის თანხის განსაზღვრისთვის გამოყენებული ანალოგი არ შეესაბამება წარმოდგენილ ფოტომასალაზე ასახულ ღობეს, კერძოდ: გამოყენებული ანალოგის ღობე არის რკინა-ბეტონის ღობე-კედელი, ღირებულება 1 $მ^2$ - 77 ლარი, ხოლო სურათზე ჩანს ხის ბოძების ნაწილი და მავთული. ასევე არ ჩანს ღობის სიგრძე და სიმაღლე. გარდა ამისა, საინვენტარიზაციო ფორმაში მითითებული ღობის სიგრძე შადგენს 220 მეტრს, ფაქტობრივად ანაზღაურებულია 153 მეტრი. დასაზუსტებელია ანალოგის შერჩევის კრიტერიუმი,

[25] NTEWHIP-A/F-082
[26] ედვარდ ბერიკაშვილი
[27] NADB/LARP III-36
[28] ფიზიკური პირი ნათელა გორგილაძე

ვინაიდან წარმოდგენილ მასალებში გვხვდება უფრო მსგავსი, მნიშვნელოვნად დაბალფსაიანი ანალოგი.

- 2013 წლის 29 ივლისის ხელშეკრულების[29] საფუძველზე 78,526 ლარად შესყიდულია[30] 3,299 მ² მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. აქედან 45,548 ლარი გადახდილია ხეხილის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით. თუმცა, წარმოდგენილი ფოტომასალით არ დასტურდება აღნიშნულ ნაკვეთზე ზემოთ მითითებული ღირებულების ხეხილის არსებობა.

- 2013 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულების[31] საფუძველზე 91,232 ლარად შესყიდულია[32] 1,970 მ² მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. აქედან 2,460 ლარი გადახდილია ღობის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით. აღსანიშნავია, რომ კომპენსაციის თანხის განსაზღვრისთვის გამოყენებული ანალოგი არ შეესაბამება წარმოდგენილ ფოტომასალაზე ასახულ ღობეს, კერძოდ: გამოყენებული ანალოგის ღობე არის რკინა-ბეტონის ღობე-კედელი, ღირებულება - 1 მ² - 82 ლარი, ხოლო სურათზე ჩანს მხოლოდ ბოძები და მავთული. წარმოდგენილი მასალებით ვერ დგინდება ანალოგის შერჩევის კრიტერიუმი, ვინაიდან აღნიშნულ მასალებში გვხვდება უფრო მსგავსი, მნიშვნელოვნად დაბალფსაიანი ანალოგი.
- 2013 წლის 27 სექტემბრის ხელშეკრულების[33] საფუძველზე 69,295 ლარად შესყიდულია[34] 1,377 მ² მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. აქედან 13,464 ლარი გადახდილია დამხმარე ნაგებობის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით. აღსანიშნავია, რომ კომპენსაციის თანხის განსაზღვრისთვის გამოყენებული ანალოგი არ შეესაბამება წარმოდგენილ ფოტომასალაზე ასახულ დამხმარე ნაგებობას, კერძოდ: გამოყენებული ანალოგის ნაგებობა არის ბლოკით აშენებული ავტოფარეხი, ღირებულება 1მ² - 264 ლარი,' ხოლო სურათზე ჩანს ხის და თხელი ფილებით აშენებული ნაგებობა. ასევე ვერ დგინდება ნაგებობის ფართი. (ანაზღაურების მიხედვით არის 51მ³). საინვენტარიზაციო ფორმა წარმოგდენილი არ არის. შესყიდვის დოკუმენტებით ვერ დგინდება ანალოგის შერჩევის კრიტერიუმი, ვინაიდან წარმოდგენილ მასალებში გვხვდება უფრო მსგავსი, მნიშვნელოვნად დაბალფსაიანი ანალოგი.

- 2013 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულების[35] საფუძველზე 56,058 ლარად შესყიდულია[36] 794 მ² მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. აქედან 20,856 ლარი გადახდილია დამხმარე ნაგებობის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით და 4,620 ლარი გადახდილია ღობის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ფოტომასალაზე ღობე და ნაგებობა არ ჩანს. ასევე, საინვენტარიზაციო ფორმაში აღნიშნულია, რომ „რუკის მიხედვით კორიდორი გადის შენობაზე, მაგრამ ამჟამად შენობა გადატანილია და დგას სხვა ადგილას, გამოიყენება როგორც დამხმარე ნაგებობა.“ შენობის კომპენსაცია ანაზღაურდა ბლოკის ავტოფარეხის ანალოგიის მიხედვით, ხოლო ღობე - რკინა-ბეტონის ღობე-კედლის ანალოგიის მიხედვით. ვერ დგინდება ანალოგების შერჩევის კრიტერიუმი, ვინაიდან წარმოდგენილ მასალებში გვხვდება უფრო მსგავსი, მნიშვნელოვნად

[29] NADB/LARP III-24
[30] ფიზიკური პირი ნოდარ ფუტკარაძე
[31] NADB/LARP III-42
[32] ფიზიკური პირი ხუსეინ თებიძე
[33] NADB/LARP III-74
[34] ფიზიკური პირი თამაზ ართმელაძე
[35] NADB/LARP III-46
[36] ფიზიკური პირი ჯონი ართმელაძე

დაბალფსაიანი ანალოგები. ასევე გასარკვევია რამდენად იყო საჭირო შესყიდული ნაკვეთის მიმდებარედ არსებული დამხმარე ნაგებობის შესყიდვა.

- 2013 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულების[37] საფუძველზე 9,123 ლარად შესყიდულია[38] 202 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. აქედან 6,000 ლარი გადახდილია 15 ერთეულ 20 წელზე მეტი ასაკის კაკლის ხის კომპენსაციის სახით. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ფოტომასალით არ დასტურდება გამოსყიდულ მიწის ნაკვეთზე კაკლის ხეების არსებობა.

- 2013 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულების[39] საფუძველზე 136,117 ლარად შესყიდულია[40] 3,559 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. აქედან 4,620 ლარი გადახდილია ღობის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით. აღსანიშნავია, რომ კომპენსაციის თანხის განსაზღვრისთვის გამოყენებული ანალოგი არ შეესაბამება წარმოდგენილ ფოტომასალაზე ასახულ ღობეს, კერძოდ: გამოყენებული ანალოგის ღობე არის რკინა-ბეტონის ღობე-კედელი, ღირებულება - 1 $მ^2$ - 77 ლარი, ხოლო სურათზე ჩანს მხოლოდ ბოძი.

- 2013 წლის 23 აგვისტოს ხელშეკრულების[41] საფუძველზე 34,483 ლარად შესყიდულია[42] 898 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. აქედან 8,085 ლარი გადახდილია ღობის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით. აღსანიშნავია, რომ კომპენსაციის თანხის განსაზღვრისთვის გამოყენებული ანალოგი არ შეესაბამება წარმოდგენილ ფოტომასალაზე ასახულ ღობეს, კერძოდ: გამოყენებული ანალოგის ღობე არის რკინა-ბეტონის ღობე-კედელი, ღირებულება - 1 $მ^2$ - 77 ლარი, ხოლო სურათზე ჩანს მხოლოდ ბოძი და მავთული.

- 2013 წლის 24 სექტემბრის ხელშეკრულების[43] საფუძველზე 73,181 ლარად შესყიდულია[44] 1,375 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. აქედან 9,240 ლარი გადახდილია ღობის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ფოტომასალაზე ღობე არ ჩანს.

- 2013 წლის 27 სექტემბრის ხელშეკრულების[45] საფუძველზე 171,615 ლარად შესყიდულია[46] 422 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. აქედან 2,480 ლარი გადახდილია დამხმარე ნაგებობის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით, ხოლო 6,930 ლარი - ღობის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ფოტომასალაზე ნაგებობა არ ჩანს. ასევე, ღობის კომპენსაციის თანხის განსაზღვრისთვის გამოყენებული ანალოგი არ შეესაბამება წარმოდგენილ ფოტომასალაზე ასახულ ღობეს, კერძოდ: გამოყენებული ანალოგის ღობე არის რკინა-ბეტონის ღობე-კედელი, ღირებულება 1$მ^2$ - 77 ლარი, ხოლო სურათზე ჩანს ბოძები და მავთულბადე.

- 2013 წლის 20 ნოემბრის ხელშეკრულების[47] საფუძველზე 163,473 ლარად შესყიდულია[48] 1,151 $მ^2$ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული უძრავი ქონება. აქედან 2,976 ლარი გადახდილია დამხმარე

---

[37] NADB/LARP III-51
[38] ფიზიკური პირი ჯამბულ ჯიჯავაძე
[39] NADB/LARP III-57
[40] ფიზიკური პირი გია კაკაბაძე
[41] NADB/LARP III-48
[42] ფიზიკური პირი ნანული ართმელაძესგან
[43] NADB/LARP III-64
[44] ფიზიკური პირი ნუგზარ გამრეკელიძე
[45] NADB/LARP III-71
[46] ფიზიკური პირი მერაბ დიასამიძესგან
[47] NADB/LARP III-79
[48] ფიზიკური პირი რომან ყურშუბაძე

ნაგებობის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით და 5,775 ლარი გადახდილია ღობის გამოსყიდვის კომპენსაციის სახით. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ფოტომასალით გამოსყიდულ მიწის ნაკვეთზე ღობისა და ნაგებობის არსებობა არ დასტურდება.

4. ძირითადი აქტივების აღრიცხვა და მოვლა-შენახვა

4.1 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

დეპარტამენტის მიერ 2012-2013 წლებში ინვენტარიზაცია ჩატარებულია დეპარტამენტის თავმჯდომარის 2012 წლის 7 ნოემბრის[49] და 2013 წლის 3 ოქტომბრის N149 ბრძანებების საფუძველზე. ძირითადი აქტივების მოძრაობა 2012-2013 წლებში წარმოდგენილია ცხრილების სახით:

2012 წელი

ძირითადი აქტივები - 31.12.2011	**2,131,357,643.00**
შენობა-ნაგებობები	1,416,622,716.00
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2,903,366.00
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	711,603,864.00
სხვა ძირითადი აქტივები	187,697.00
2012 წელს მიღებული ძირითადი აქტივები	**299,526,307.00**
შესყიდვის გზით	266,042,066.00
უსასყიდლოდ მიღებული იმავე დონის სახელმწიფო ერთეულისგან	32,594,331.00
ბარტერი	53,635.00
სხვა ეკონომიკური ნაკადები	11,594.00
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	824,681.00
2012 წელს გასული ძირითადი აქტივები	**93,616,406.00**
ავტომანქანის ღირებულება	34,247.00
შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის" კაპიტალში შეტანილი საგზაო ტექნიკის ღირებულება	581,226.00
მთავრობის განკარგულების საფუძველზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე შესრულებული სამუშაოების ღირებულება, რომელიც გადაეცა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს	37,248,538.00
აუდიტორული შეფასების შედეგად შემცირებულია ძირითადი აქტივების ღირებულება	597,040.00
ექსპერტიზის მიერ შეფასებული ჩასანაცვლებელი ავტომანქანების ღირებულება	53,635.00
ძირითადი აქტივების მოხმარება	55,101,720.00
ძირითადი აქტივები - 31.12.2012	**2,337,267,544**

[49] N124

2013 წელი

ძირითადი აქტივები - 31.12.2012	**2,337,267,544.00**
შენობა-ნაგებობები	1,486,245,648.00
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	8,557,475.00
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	842,277,571.00
სხვა ძირითადი აქტივები	186,850.00
2013 წელს მიღებული ძირითადი აქტივები	**399,619,129.00**
შესყიდვის გზით	399,157,857.00
შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანიისგან" მიღებული ს/ტექნიკის ღირებულება	138,684.00
სხვა ეკონომიკური ნაკადები	230,368.00
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	92,220.00
2013 წელს გასული ძირითადი აქტივები	**90,391,461.00**
სამინისტროსთვის გადაცემული ვიდეოაპარატურის ღირებულება	13,253.00
შსს-თვის გადაცემული იალღუჯის საწვრთნელ ბაზაზსთან მისასვლელი გზა	1,147,880.00
შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის" კაპიტალში შეტანილი საგზაო ტექნიკის ღირებულება	6,119,280.00
ადგილობრივ თვითმმართველობაზე გადაცემული აქტივები	21,755,586.00
სხვა ხარჯები	2,119,625.00
ეკონომიკური ნაკადები	575,461.00
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	58,660,376.00
ძირითადი აქტივები - 31.12.2013	**2,646,495,212.00**

4.2 ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვა

საქართველოს საავტომობილო გზები დაყოფილია 34 ზონად, რომელთა მოვლა-შენახვას ახორციელებენ ტენდერის შედეგად გამარჯვებული კომპანიები. მოვლა-შენახვა გულისხმობს განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში შესაბამის ზონაში მიმდინარე შეკეთების სამუშაოებსა და ზამთრის პერიოდის შენახვას. აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა 2012 და 2013 წლებში დასრულებული ხელშეკრულებები. აუდიტის მიმდინარეობისას გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

1. საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გზების მოვლა-შენახვის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო მოცულობები, სახეობები და ღირებულება განისაზღვრება წინა წლის გამოცდილების საფუძველზე. ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში ხელშეკრულებები შეწყდა წინასწარ განსაზღვრულ ვადაზე მნიშვნელოვნად ადრე, თანხის ამოწურვის მოტივით. შესაბამისად, ვერ შესრულდა ზამთრის პერიოდის მოვლა-შენახვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში. დეპარტამენტმა ვერ წარმოადგინა თანხის ვადაზე მნიშვნელოვნად ადრე ამოწურვის მიზეზების სათანადო დოკუმენტური დასაბუთება, კერძოდ:

- **შპს „ცეკურთან“ 2012** წლის 4 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების[50] ღირებულება შეადგენდა 996,897 ლარს, აქედან 2012 წელს შესასრულებელი იყო 400,000 ლარის სამუშაოები, ხოლო 2013 წელს - 596,897 ლარის. ხელშეკრულების მიხდვით, მიმწოდებელს ზონის მოვლა-შენახვის სამუშაოები უნდა განეხორციელებინა 2013 წლის 31 მაისამდე. თუმცა, 2013 წლის 17 იანვრის N145 სამსახურებრივი ბარათის მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები დასრულდა 2013 წლის 9 იანვარს (5 თვით ადრე), ხოლო ხელშეკრულება შეწყდა 2013 წლის 5 თებერვლის შეთანხმებით.

- **შპს „ბორანთან“ 2012** წლის 30 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების[51] ღირებულება შეადგენდა 1,097,357 ლარს, აქედან 2012 წელს შესასრულებელი იყო 500,000 ლარის სამუშაოები, ხოლო 2013 წელს - 597,357 ლარის. ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელს ზონის მოვლა-შენახვის სამუშაოები უნდა განეხორციელებინა 2013 წლის 31 მაისამდე. თუმცა, 2012 წლის 6 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის[52] მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები დასრულდა 2012 წლის 30 ნოემბერს (7 თვით ადრე), ხოლო ხელშეკრულება შეწყდა 2012 წლის 18 დეკემბრის შეთანხმებით.

- **შპს „ჭიათურის საგზაოსთან“ 2012** წლის 26 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების[53] ღირებულება შეადგენდა 541,294 ლარს, აქედან 2012 წელს შესასრულებელი იყო 300,000 ლარის სამუშაოები, ხოლო 2013 წელს - 241,294 ლარის. ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელს ზონის მოვლა-შენახვის სამუშოები უნდა განეხორციელებინა 2013 წლის 15 აპრილამდე, თუმცა 2012 წლის 6 ნოემბრის სამსახურებრივი ბარათის[54] მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები დასრულდა 2012 წლის 1 ნოემბერს (5 თვით ადრე), ხოლო ხელშეკრულება შეწყდა 2012 წლის 9 ნოემბრის შეთანხმებით.

- **შპს „თელავის საგზაო სამმართველოსთან“ 2012** წლის 30 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების[55] სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 599,822 ლარს, აქედან 2012 წელს შესასრულებელი იყო 330,000 ლარის სამუშაოები, ხოლო 2013 წელს - 269,822 ლარის. მიმწოდებელს ხელშეკრულების მიხედვით, ზონის მოვლა-შენახვის სამუშაოები უნდა განეხორციელებინა 2013 წლის 15 აპრილამდე, თუმცა, 2013 წლის 3 იანვრის სამსახურებრივი ბარათის[56] მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები დასრულდა 2012 წლის 31 დეკემბერს (3 თვით ადრე), ხოლო ხელშეკრულება შეწყდა 2013 წლის 17 იანვრის შეთანხმებით.

- **შპს „არილთან“** 2012 წლის 15 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების[57] ღირებულება შეადგენდა 899,999 ლარს, აქედან 2012 წელს შესასრულებელი იყო 300,000 ლარის სამუშაოები, ხოლო 2013 წელს - 599,999 ლარის. ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებელს ზონის მოვლა-შენახვის სამუშაოები უნდა განეხროციელებინა 2013 წლის 1 ივლისამდე, თუმცა 2013 წლის 11 მარტის სამსახურებრივი ბარათით[58] ირკვევა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები დასრულდა 2012 წლის 7 მარტს (4 თვით ადრე), ხოლო ხელშეკრულება შეწყდა 2013 წლის 11 მარტის შეთანხმებით.

---

[50] N62-12
[51] N59-12
[52] N6369
[53] N52-12
[54] N5797
[55] N44-12
[56] N10
[57] N84-12
[58] N875

- **შპს „არილთან“** 2011 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების[59] ღირებულება შეადგენდა 886,504 ლარს. მიმწოდებელს ზონის მოვლა-შენახვა უნდა განეხორციელებინა 2012 წლის 15 დეკემბრამდე, თუმცა 2012 წლის 2 ივლისის სამსახურებრივი ბარათის[60] მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები დასრულდა 2012 წლის 30 ივნისს (4 თვით ადრე), ხოლო ხელშეკრულება შეწყდა 2012 წლის 6 ივლისის შეთანხმებით.

- **შპს „ჯავახავტოგზასთან“** 2012 წლის 10 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულების[61] ღირებულება შეადგენდა 1,190,960 ლარს, აქედან 2012 წელს შესასრულებელი იყო 620,000 ლარის სამუშაოები, ხოლო 2013 წელს - 570,960 ლარის. ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელს ზონის მოვლა-შენახვის სამუშაოები უნდა განეხორციელებინა 2013 წლის 30 აპრილამდე, თუმცა 2013 წლის 4 მარტის სამსახურებრივი ბარათის[62] მიხედვით, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები დასრულდა 2013 წლის 24 თებერვალს (2 თვით ადრე), ხოლო ხელშეკრულება შეწყდა 2013 წლის 4 მარტის შეთანხმებით.

2. ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში მნიშვნელოვანი გადახრებია ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაოთა მოცულობას, გეგმა-პროგნოზსა და ფაქტიურად შესრულებულ მოცულობას შორის. აღნიშნულ გადახრებთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი დეპარტამენტსა და კონტრაქტორს შორის კორესპოდენცია ან სათანადო დოკუმენტები, რაც ნათელს გახდიდა გადახრების გამოწვევ მიზეზებს:

შემსრულებელი / სამუშაოს დასახელება	**ერთეუ.**	**შესასრულებელი სამუშაოების მოცულობები**			
		ხელშეკრულებით (1)	**გეგმა-პროგნოზი (2)**	**მიღების აქტით (3)**	**სხვაობა (3)-(2)**
გზის დეფორმირებული და დაზიანებული ადგილების შევსება ცხელი ა/ბეტონით					
შპს „ცეკური“, N62-12	ტონა	40	177	891	714
შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“, N95-12	ტონა	100	273	515	242
შპს „გზამშენი 2005“, N48-12	ტონა	10	500	678	178
შპს „სამხედრო გზა“, N139-12	ტონა	20	0	144	144
შპს „იბოლია“, N47-12	ტონა	20	0	112	112
შპს „ჯავახავტოგზა“, N46-11	ტონა	20	0	120	120
სტანდარტული ზომის ახალი საგზაო ნიშნების დაყენება					
შპს „ზიმო-7“, N81-12	ცალი	20	88	319	231
შპს „იბოლია“, N47-12	ცალი	30	120	212	92
შპს „მარტვილავტოგზა“, N135-12	ცალი	30	21	88	67
კედლის და სხვა ელემენტების მოწყობა მონოლითური ბეტონით					
შპს „ჯ და ჯ“, N21-12	ტონა	10	0	97	97
ლითონის ახალი თვალამრიდი ძელების დაყენება					
შპს „მექანიზატორი - 2005“, N18-13	ცალი	50	0	120	120

[59] N 77-11
[60] N3112
[61] N46-12
[62] N793

ლითონის მილის მოწყობა დ > 1.0					
შპს „ზუგდიდის საგზაო სამმართველო“, N95-12	მეტრი	10	25	108	83
გაბიონის მოწყობა					
შპს „ლატექსი“, N55-12	მ3	5	30	134	104
ბულდოზერით მუშაობა					
შპს „ავტოგზალენტეხი-99“ , N99-12	საათი	1,600	2,238	4,611	2,373
ექსკავატორის მუშაობა					
შპს „ნიუქონსთრაქშენ“, N110-12	საათი	50	2,910	4,761	1,851
გრეიდერის მუშაობა					
შპს „ნიუქონსთრაქშენ“, N110-12	საათი	1,200	2,690	4,068	1,378

რეკომენდაცია N8: *საავტომობილო გზების დეპარტამენტმა უზრუნველყოს მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული სამუშაოების დოკუმენტურად ასახვა იმგვარად, რომ ნათლად გამოჩნდეს თანხების თავდაპირველად განსაზღვრულ დროზე ადრე ამოწურვის საფუძვლები.*

3. კონტრაქტორებთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, მათ მიერ შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი ევალება გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს, რომელიც ამავე ხელშეკრულების თანახმად[63] ვალდებულია ყოველთვიურად შეადგინოს განხორციელებული მონიტორინგის ამსახველი დოკუმენტაცია. მიმდინარე აუდიტისათვის წარმოდგენილია მხოლოდ 2012 წლის მაისის თვეში N1 ზონაში შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის მონიტორინგის დამადასტურებელი აქტი (08.06.2012) და შესაბამისი ფოტო მასალა. დანარჩენ პერიოდში ანალოგიური დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ არის. ფაქტობრივად მონიტორინგის სამმართველოს მონაწილეობა ზემოაღნიშნულ პროცესებში დასტურდება კონტრაქტორის მიერ შედგენილ სამუშაოთა ყოველთვიურ მიღების აქტებზე ხელის მოწერით. რაც ხელშეკრულებების ზემოთ მითითებული მოთხოვნის არაჯეროვანი შესრულებაა.

4. მოვლა-შენახვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების[64] თანახმად, ყოველი თვის დასაწყისში მიმწოდებელი და შემსყიდველი, მისი სტრუქტურული ერთეულის - საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს მეშვეობით, ერთობლივად ადგენენ მომავალ თვეში ხელშეკრულებით განსაზღვრულ ზონაში შემავალ ს/გზებზე შესასრულებელი სამუშაოების საპროგნოზო მოცულობებს. შეთანხმებული მოცულობები მიმწოდებლისათვის წარმოადგენს ძირითად საფუძველს მოცემულ თვეში სამუშაოების შესრულებისთვის. დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ზამთრის პერიოდში არ დგება ყოველთვიური გეგმა-პროგნოზები, ვინაიდან წინასწარი კლიმატური პირობების განსაზღვრა შეუძლებელია. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, გეგმა-პროგნოზები არ არის წარმოდგენილი წელიწადის სხვა დროებშიც, რაც ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების მოთხოვნებს, კერძოდ:

[63] 4.4 პუნქტი
[64] 5.6 პუნქტი

N	შემსრულებელი ორგანიზაცია	ხელშეკრულების თარიღი და ნომერი	პერიოდი რომელზეც არ არის წარმოდგენილი სათანდო გეგმა-პროგნოზი
1	შპს „ყვარელავტოგზა“	N63-11; 07.09.2011	2012 - I, VIII, XII
2	შპს „კლოტოიდა“	N41-12; 27.03.2012	2102 - VIII, IX, XII
3	შპს „ზიმო-7“	N81-12; 05.06.2012	2012 - VIII
4	შპს „ქცია“	N132-12; 14.11.2012	2013 - V, VI, VII, IX, X, XI
5	შპს „ავტობანი“	N138-12; 30.11.2012	2013 - I, II, XII
6	შპს „ჯავახავტოგზა“	N133-12; 04.03.2012	2013 - I, II, III, IV, VIII, IX, X, XI
7	შპს „მექანიზატორი 2005“	N18-13; 04.03.2012	2013 - III, IX, XII

5. მიმწოდებლის მიერ შედგენილი ყოველდღიური სამუშაოთა წარმოების ჟურნალები შესრულებულია მნიშვნელოვანი ხარვეზებით, კერძოდ:

- ზოგიერთ შემთხვევაში სამუშაოთა წარმოების ჟურნალის უხარისხოდ წარმოების გამო, შეუძლებელია მასში არსებული მონაცემების სამუშაოთა მიღების აქტის მონაცემებთან შედარება. ასეთი სახითაა წარმოდგენილი ჟურნალები შპს „ზიმო-7-ის,“[65] შპს „ყვარელავტოგზის“,[66] შპს „თელავის ავტოგზის“[67] და შპს „ცეკურის“[68] ხელშეკრულებების შემთხვევაში;

- სამუშაოთა წარმოების ჟურნალებში ვერ იდენტიფიცირდება ზოგიერთი სამუშაო:

N	მიმწოდებელი ორგანიზაციის დასახელება	სამუშაოები, რომლებიც ვერ იდენტიფიცირდება სამუშაოთა წარმოების ჟურნალში
1	შპს „ბედეკი“, N134-12	არ არის განცალკევებული გამოყენებული ქვიშა-მარილის სახეობები.
2	შპს „იბოლია“, N47-12	არ არის განცალკევებული ზამთრის პერიოდში გამოყენებული მასალები
3	შპს „ჯავახავტოგზა“, N46-12	ჟურნალში არ არის განცალკევებული თოვლის წმენდა როტორით და თოვლის წმენდა დიდი როტორით (ერთეულის ღირებულებები შესაბამისად 20 ლარი და 192 ლარი)
4	შპს „ჯავახავტოგზა“, N133-12	ჟურნალში არ არის გამიჯნული ზამთრის პერიოდში გამოყენებული ქვიშა-მარილის სახეობები
5	შპს „არილი“, N11-13	გაცვეთილი და დაბზარული ადგილების შევსება აგვისტოს თვის ჟურნალში დაფიქსირებულია ტონობით, დანარჩენ თვეებში m^2-ებით.

[65] N50-11 და N81-12 ხელშეკრულებები
[66] N63-11 ხელშეკრულება
[67] N141-12 ხელშეკრულება
[68] N129-12 ხელშეკრულება

- სამუშაოთა მიღების აქტებში დაფიქსირებული გარკვეული სამუშაოები საერთოდ არ არის შეტანილი ყოველდღიურ სამუშაოთა წარმოების ჟურნალებში:

N	ორგანიზაციის დასახელება	ხელშეკრულების ნომერი	სამუშაოები, რომლებიც აღნიშნულია მიღების აქტში და არ არის შეტანილი სამუშაოთა წარმოების ჟურნალში
1	შპს „ავტობანი“	N138-12	ზამთრის მორიგეობა; გზების ყოველდღიური შემოვლა; მოძრაობის ინტენსივობის გათვლები.
2	შპს „ბორანი“	N59-12; N128-12	
3	შპს „გარდაბანი“	N31-12	
4	შპს „გზამშენი-18“	N80-12	
5	შპს „იბოლია“	N47-12	
6	შპს „მარტვილავტოგზა“	N135-12	
7	შპს „საგზაო სამმართველო“	N108-12	
8	შპს „საქართველოს სამხედრო გზა“	N139-12	
9	შპს „შარაგზამშენ-პირველი“	N109-12	
	შპს „ჯავახავტოგზა“	N133-12	

- ასევე სხვაობებია სამუშაოთა წარმოების ჟურნალებისა და სამუშაოთა მიღების აქტების მონაცემებს შორის. ცხრილის სახით წარმოდგენილია მხოლოდ ის ხელშეკრულებები, სადაც შედარებით მოცულობითი სხვაობები გამოვლინდა:

			მოცულობა		სხვაობა	
N	ორგანიზაცია და ხელშეკრულების N	ერთეული	ჟურნალით	მიღების აქტით	რაოდენობა	ლარი
1	**შპს „არილი“, N84-12**					
	- გზის დაზიანებული და დეფორმირებული ადგილების შევსება	ტონა	368	470	103	25,625
	- ზამთრის მორიგეობა	კაც/ცვლა	4,983	6,853	1,870	46,750
	სულ					**72,375**
2	**შპს „ლენტეხის საგზაო 2000“, N64-11**					
	თოვლის წმენდა ბულდოზერით	საათი	1,872	2,814	942	**42,390**
3	**შპს „ამბროლაურიგზა 7“, N22-12**					
	- კედლისა და სხვა ელემენტების მოწყობა მონოლითური ბეტონით	მ3	0	34	34	8,840
	- გრეიდერის მუშაობა	საათი	133	163	30	1,170
	- სავალი ნაწილის შეკეთება ადგილობრივი ბუნებრივი ღორღით	მ3	303	453	150	3,300
	სულ					**13,310**
4	**შპს „ჯავახავტოგზა“, N65-11**					
	- ქვიშა-მარილის ნარევის მოყრა ხელით	ტონა	1,257	1,307	50	4,000
	- თოვლის წმენდა ბულდოზერით	საათი	1,449	1,522	73	9,271
	სულ					**13,271**

ხშირ შემთხვევაში ანალოგიური სხვაობებია გამარტივებული წესით და ტენდერებით შესყიდული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასევე წარმოდგენილია მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი სხვაობების შესახებ ინფორმაცია:

შემსრულებელი, ხელშეკრულების N		მოცულობა		სხვაობა	
	ერთეული	ჟურნალით	მიღების აქტით	რაოდენობა	ლარი
შპს „ენგური 2006“, შ.რ. N1-11					
შემასწორებელი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ასფალტბეტონის ცხელი ნარევით, ტპი B, მარკა II	ტონა	16,162	16,825	663	109,935
სულ					**109,935**
შპს „ცეკური“, ს.ტ. N1-12					
სპეცპროფილის ბეტონის პარაპეტების დემონტაჟი და მონტაჟი	ცალი	-	15	15	600
„ს/გზის თბილისი-სენაკი-ლესელიძის 170 კმ-ზე დასაწყობებული რკ/ბეტონის კონსტრუქციების სიგრძით 6 მ. წონით 9,3 ტ. დატვირთვა, ტრანსპორტირება 4 კმ-ზე და ჩაწყობა გამორეცხილი ვაკისის ძირში“	ცალი	-	3	3	588
კლდოვანი გრუნტის გაფხვიერება ექსკავატორის ბაზაზე დამონტაჟებული პნევმატური ჩაქუჩებით	მ3	8,183	9,553	1,370	15,755
„მსხვილნატეხოვანი ქვის ლოდების d 1,0 მ დატვირთვა დამტვირთველით, ტრანსპორტირება 5 კმ-ზე და გადაადგილება ბულდოზერით“	მ3	5,800	7,024	1,224	15,300
წვრილფრაქციული ფლეთილი ქვის d 0,3 მ დატვირთვა დამტვირთველით, ტრანსპორტირება 5 კმ-ზე და ჩასოლვა ქვაყრილის ზედაპირზე, მოსწორება ბულდოზერით“	მ3	640	786	146	2,263
ყრილის ზედა ფენის დატკეპნა ვიბროსატკეპნებით 8 გავლით	მ3	2,000	2,500	500	1,950
საფეხურების მოწყობა ბულდოზერით სიგანით 2 მ	მ3	800	977	177	266
ყრილის მოწყობა ქვაღორღოვანი გრუნტით, დატვირთვა ექსკავატორით, ტრანსპოტირება 1 კმ-ზე და დატკეპნა ვიბროსატკეპნით 6 გავლით	მ3	3,000	3,926	926	6,945
გცერდულებზე დასაყენებელი პლასტმასის მიმმართველი ბოძკინტები „მბ“	მ3	-	19	19	1,644
სულ					**45,310**
შპს „კოლხი“, N7-09					
აქტში საფარის ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი, ღორღოვანი ა/ბ ცხელი ნარევით, ტიპი "ბ", მარკა II სისქით 5 სმ და იგივე სისქით 4 სმ	მ2	112,985	139,792	26,807	375,298
საფარის ქვედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ფოროვანი, ღორღოვანი ა/ბ ცხელი ნარევით, ტიპი "ბ", მარკა II სისქით 6 სმ	მ2	10,087	14,665	4,578	66,381
შემასწორებელი ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი, ღორღოვანი ასფალტბეტონის ცხელი ნარევით, ტიპი "ბ", მარკა II	ტონა	4,251	4,924	673	77,280
სულ					**518,959**
შპს „გზამშენებელი 13“, N06-13					
ლითონის მოაჯირის მონტაჟი შეღებვით	კგ	5,213	22,873	17,659	35,318
სულ					**35,318**

შპს „არილი“, გ.ტ. N29-12					
გაბიონის ლეიბის მოწყობა 5 მმ გამომწვარი მავთულით, ბლოკების ზომით 2,0X2,0X0,4 (108ც) 2,5X2,0X0,4 (216ც) უჯრედის ზომით 15X15 სმ	მ3	447	605	158	8,428
გაბიონის ლეიბის მოწყობა 5 მმ გამომწვარი მავთულით, ბლოკების ზომით 1,0X1,0X2,0 (648 ც) 1,0X1,0X1,5 (648 ც) უჯრედის ზომით 15X15 სმ	მ3	525	972	447	29,029
სულ					**37,457**
შპს სანი					
ყრილის მოწყობა კარიერიდან მოზიდული ხრეშოვანი გრუნტით	მ3	19,010	19,730	720	12,240
სულ					**12,240**

ზოგიერთ შემთხვევაში სამუშაოთა წარმოების ჟურნალების უხარისხოდ შესრულების გამო შეუძლებელია მათში არსებული მონაცემების შედარება სამუშაოთა მიღების აქტებში არსებულ მონაცემებთან:

შემსრულებელი	**ხელშეკრულების თარიღი და N**	**სამუშაოს დასახელება**
გამარტივებული შესყიდვები		
შპს „ასტორია“	N ს.რ. 1-12; 12.06.12	„ახალციხე-ნინოწმინდის ს/გზის ნინოწმინდაში გამავალი დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები“
შპს „ზიმო“	N სტ. 11-12; 3.12.12	„სენაკი-ფოთი-სარფის ს/გზის 110-ე კმ-ზე, მდინარე ჭოროხზე არსებული სახიდე გადასასვლელის დაზიანებული ელემენტების აღდგენითი სამუშაოები“
შპს „სერპანტინი“	N სტ. 7-12; 31.05.12	„გურჯაანი-ჭაბუკიანი-აფენი-კაბალის ს/გზის პირველ კმ-ზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდქვეშა კოლექტორის აღდგენა“
შპს „სამშენებლო კომპანია ბათუმი“	N ს.რ 3-13; 12.08.13	„სენაკი-ფოთი-სარფის ს/გზის 117-119 კმ-ზე ფერდობის ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები“
შპს „ხიდმშენი 99“	N სტ 5-12; 23.05.12	„საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის ს/გზის 104-ე კმ-ზე არსებული ხიდის სტიქიის შედეგად დაზიანებული ელემენტების აღდგენითი სამუშაოები“
ტენდერების საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებები		
შპს „ლაგოდეხავტოგზა“	N ე.ტ 94-12; 17.07.12	„ლაგოდეხის რაიონში, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან მდ. მაწიმზე ნაპირსამაგრი სამუშაოები”
შპს „შარა“	N გ.ტ. 24-12; 20.04.12	„დუშეთის რაიონში, სოფ. ბაზალეთში, პაპიაანთუბანში ხევის ნაპირსამაგრი სამუშაოები“
შპს „ინდიკო“	N ე.ტ 40-12; 21.03.12	„შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნოსირი-გეჯეთი-ნოქალაქევის საავტომობილო გზის მე-4 და მე-5 კმ-ზე მდ. ტეხურის მიერ გამორეცხილი მიწის ვაკისის აღდგენის სამუშაოები“
შპს „არალი“	N ე.ტ. 66-13; 18.06.13	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ახალციხის ს/გზის ზარზმა-ადიგენის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები“
შპს „შარა“	N ე.ტ. 125-12; 15.11.12	შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ახალციხის ს/გზის 151-ე კმ-ში მიწის ვაკისის გამორეცხვის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების სამუშაოები“
შპს „ხიდმშენი 99“	N ე.ტ 11-12; 13.01.12	საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისის შემოსავლელი ს/გზის 47-ე კმ-ზე მდ. მტკვარზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოები“

აუდიტორთა ხელმოწერა:

ქართლოს სახვაძე
(წამყვანი აუდიტორი)

ირაკლი ვაშაყმაძე
(უფროსი აუდიტორი)

თამარ ფიცხელაური
(აუდიტორი)

გიორგი ბუკია
(აუდიტორი)

მირიან შარიქაძე
(აუდიტორ ასისტენტი)

გიორგი ხითარიშვილი
(აუდიტორ ასისტენტი)

შმაგი ჯოჯიშვილი
(აუდიტორ ასისტენტი)